ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N62

2023 წლის 04 ოქტომბერი
ქ. ამბროლაური

,,ქ. ამბროლაური მდ. კრიხულას სანაპიროზე სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული როლის გაზრდის მიზნით მრავალფუნქციური ცენტრის მშენებლობის სამუშაოებზე" ამბროლაურის მუნიციპალიტეტსა და ამხანაგობა „ბარსონბილდსი"-ს (ს/კ 222938864) შორის ხელშეკრულების დადებაზე ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.გ" ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერს ,,ქ. ამბროლაური მდ. კრიხულას სანაპიროზე სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული როლის გაზრდის მიზნით მრავალფუნქციური ცენტრის მშენებლობის სამუშაოებზე" ამბროლაურის მუნიციპალიტეტსა და ამხანაგობა „ბარსონბილდსი"-ს (ს/კ 222938864) შორის ხელშეკრულების დადებაზე. გასაფორმებელი ხელშეკრულების ღირებულება 1 512 698 (ერთი მილონ ხუთას თორმეტი ათას ექვსას ოთხმოცდათვრამეტი) ლარი.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქუჩა N13).

3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ასლან საგანელიძე